


D. J...

1920 წ

28/11



888

მ ა რ ტ ი

№ 1



თ ბ ი ლ ი ბ ი

1920

უ ნ ა ა რ ს ი:

წინასიტყვაობის ნაწყვეტი

ი. მკედლიშვილი

არჩილ მაჭავარიანი

შერკულეს ყანჩელი

ლენა პარნახელი

კ. რატიშვილი

ლ. ძიძიგური

ს. რუშაველი

აკილესი

Chale Romie

შალვა მეფანდურე

შალვა გომართელი

კ. გერგესელი

დ. ა.

გ—ი

მ. თოიძე

იისთვალემა

უმანკო მსხვერპლი

სამშობლოს!..

განშორებული სული

თებერვალში

აქ სად მოხველ?!?

კუბოსთან

ბუდუარში

ძვლის ფლეიტა

თეთრ დღეში

სიყვარულის მსხვერპლი

სილუეტები

ოსკარ უაილდი

შემოქმედების მძივები

ყდა

რედაქტორი—შალვა მეფანდურე

წინასიტყვაობის ნაწილები

ჩვენი თავისუფალი ერის შემოქმედების პარნასის მთა ჯერ კიდევ არ განცისკროვნებულა ისე, რომ ციალი შუქ-მფენი ცისკრისა მთელ მსოფლიოს უღიმოდეს. ეოლოსის ქნარი ჯერ კიდევ ისე მომხიბვლელად არ აქლერებულა, რომ ბგერა მისი, მომაჯადოებელი, მუზათა სათუთ ფერიებს ოქროს რკალად ავლებდეს ერის განახლებულ სულს...

ჩვენი ერის პარნასი ბინდით არის მოცული!..

მწუხრის ზეწარი ჯერ კიდევ სულს უმძიმებს ახალ აზრს, ახალ აღმაფრენას, შავი აჩრდილები კიდევ აფრთხობს მორცხვს, მაგრამ ამაყ ძახილს შემოქმედებისას...

და ამ მწუხრის ჟამს, ჟამს, როცა ბინდი ჰფარავს არემარეს, ნუ თუ გამოჩნდება ისეთი ვინმე, რომელიც დაინახავს მკრთალს, მაგრამ გაბედულს სხივს და მას სიამის ღიმილთ არ მიეგებება?!

და სწორედ ჩვენი ჟურნალი ერთი ასეთი სხივთაგანია, რომელიც, ვით წმინდა სანთელი, ანთებულა რწმენით აღსავსე სულით, და ისე უერთდება საერთო სხივთა კონას. თუ ჩვენსკენ იქნება სიამის ღიმი, ჩვენ უფრო გაბედულად ვიტყვით ჩვენს სიტყვას, და თუ ამით მთლიან კრიალოსანს ვერ შევპქმნით, მის შემადგენლობაში პატარა ნაწილად მაინც ავეკინძებით.

შშვენიერო, ლამაზო, ნაზო, იისთვალეა,
 მარად შენთან მდგომარეს, მითხარ რა მევალება?
 ბედმა ასე დაწერა: მარად თაყვანსა გცემდე
 და შენს ბაგეს ვნატრობდე ჩემი სიკვდილის დღემდე.
 კაი ხანი გავიდა იმის შემდეგ, რაც მუხამ
 მკითხა: იისთვალეას რას მოსთხოვო, რას უხამ?
 მაგრამ რა ვქნა ლამაზო, ნაზო, იისთვალეა?
 მე არ ვიცი შენს გვერდით რა მსურს, რა მევალება!

ზეცამ შენზე მასწავლა: ეგ ის ვარსკვლავიო,
 რომელზედაც შენ გასჩნდი, ვით მთვარეზე ღვიაო,
 რომელიც: თუ ჩაქრება იმას მოასწავებსო,
 რომ სიცოცხლე ჩაიკვამს შენზე ძაძას, შავებსო
 და რა გიყო ლამაზო, ნაზო, იისთვალეა?
 მე არ ვიცი შენს გვერდით რა მსურს, რა მევალება!

ვისაც შეუყვარდები და შენს ცეცხლიან თვალსა
 გადაატარებინებ იმის გულში ღრმა კვალსა,
 ან უნდა სულ გაჩუმდეს, ან აეკრას ცას, წეროს,
 ან და გრიშაშვილიური ლექსი უნდა დასწეროს.
 მე კი სულ სხვა წყლისა ვარ, სხვანაირი მაქვს ჩანგი,
 ჩანგი მარტოდ ნატარი, სიობღეში ნაეანგი
 და ეს, აბა მითხარი, რას აამებს შენს სახეს,
 სახეს მზეში გამოზრდილს მზესავით მოჩახჩახეს?...
 მაშ რა გიყო ლამაზო, ნაზო, იისთვალეა?
 მე არ ვიცი შენს გვერდით რა მსურს, რა მევალება!

შშვენიერო! ლამაზო! ნაზო! იისთვალეა!
 მარად შენთან მდგომარეს იცი რა მევალება?
 ამოვთხარო ეგ გული ბევრ გულთა სასაკლავო
 და იმ ამონათხარში ჩაეწვე, ჩავესაფლაო!

ღმერთთა სამეფოში ისმოდა რისხვა საშინელი...
 ბრაზ-მორეული ზევსი საზარლად აბნევდა მუქარის ხმებს და მის შერ-
 ხეულ თეთრ თმათაგან ეღვრა გამოჰკრთოდა ჯოჯობეთურ გრგვინვით!..
 თაუზარდაცემულ ეოლს აეშვა თაუხედი მონები, რომელთაც აეგორე-
 ბინათ ქარიშხლის ხუხუნში ზღვის გორები და ჩანთქვას უპირებდნენ
 გარემოს...

შეშინებულ ქალ-ღმერთთა მზიარული ღიმილი, შიშის ნაოქებით შე-
 ცვლილიყო მათ სახეზე, თხელ ტანსაცმელს ქარი ბრაზით უხევდა და
 ატიტვლებდა ქალწულთ.

შშფოთავი ზევსი კი ხმა მაღლა გაჰკიოდა მეთათასჯერ:

— ცეცხლი!.. ცეცხლი!..

ბნელის რიდე ჩამოჰფარვოდა აპოლონის ტაძარს... მის მცველნი გა-
 ყინულიყვნენ ერთ ადგილს ვაუგებრობაში...

სახე მიმკრთალი დარაჯი ქალ-ღმერთი კი აღშფოთებით შეჰყურებდა
 საკურთხეველზე ღვთიურ ცეცხლს, რომელიც ხელდებოდა და ბნელი
 ეხვეოდა ტაძრის სვეტებს...

მას უკვე ესმოდა მორეული რისხვა ღმერთების და უნებლიედ ლოც-
 ვის ბუტბუტი უკოცნიდა მკრთალ ბაგეებს...

რა ექნა-საბრალოს, როდესაც შესაწირავი გამოჰლეოდა და დედა-
 მიწის გულს უარი ეთქვა კვლავ აღმოეცენებინა წითელი, უცოდველი
 ვარდები ცეცხლის შესაწირავად?

ჩაქრებოდა ცეცხლი და დაიმსხვრეოდა ტაძარი ღმერთების სამლოც-
 ველო!

ჩაქრებოდა ცეცხლი და ბნელი მოიკაედა ღმერთთა გულს და გონებას!
 ტურფა ასულნი ველარ დაათრობდნენ ვერავის ვნებით და უკვე ჩამქ-
 რალ ცეცხლს კვლავ ველარ აუნთებდნენ გულში... ამიტომ იყო, რომ
 ზევსი უწყრებოდა დედამიწას, რომელსაც უარი ეთქვა კვლავ აღ-
 მოეცენებინა წითელი, უცოდველი ვარდები ცეცხლის შესაწირავად.

და ჩამოსცივდა დარაჯ ქალ-ღმერთს უმანკო ცრემლი, თითქოს მის
 თვალთ ფიალი გაუსებულიყო და ველარ იტვედა დაგროვილ მარგა-
 ლიტებს...

ტიროდა დიდბანს...

თვითეული წვეთი, მის ლაწვეებს მოხვედრილი, ძირს ეცემოდა და ვარ-
 დად ქვეული სურნელებას აბნევდა უნახესად.

და მოჰკრიბა დარაჯ-ქალ-ღმერთმა ვარდები, რომელიც მის ცრემლს
 შეეძინა და საკურთხეველზე მიბნედილ ცეცხლს კრძალვით მიაყარა...
 გაბრწყინდა...

მოიმატა ცეცხლმა და ტაძრის სიბნელე გაჰფანტა საბუდამოდ...

განათებულ ტაძრის სიღრმეში კვლავ გაისმა უბილავ ქურუმთ დიდე-
 ბის საგალობელი და ღმერთთა რისხვა შეიცვალა ხეიბად...

სამოგლოს!

ჰერკულეს ყანხელი

ცისფერ დაისში იყვავილა თეთრმა ოცნებამ,
რწმენის ფიალა დაიკალა ცეცხლის აღმურით,
დღის შავ კალთაში მოღლილ შანსის თეთრ გაოცებამ,
სხეულის თვალები აგიხილა კოცნა ქალურით.

დამსხვრეულ ძილში ტკბილი სიზმრის მაქცი ნიმფები,
გაყინულ თვლებით დაატკბობენ უღირს ფანტომებს:
ლანდთა ყაბაბში შენი სახე კვლავ აინთება,
ცელქი ფერია შენს გარშემო ცეკვას ინდომებს...

შენს დაქრილ სახეს უმკურნალებს მხატვარი ფანქრით,
მძლავრი სინათლით თვით შეგმოსავს დილით ავრორა,
მზიარულ დასში დაგასახლებს მუდმივი ამჭრით...
და უკვდავთ ნექტარს შემოგასხავ ქილით ავარა!

განმორჩეული სული

ღენა პარნახელი

(განცდა)

თუ გიყვარს შენ ისეთი სიჩუმე, რომელიც ნათლად გიხუტავს ათას-
გვარ მოძაჯადოებულ სურათებს მშვენიერ განცდისას...

თუ გიყვარს შენ ისეთი ცივი ღუმილი, რომელშიაც აშკარად მოისმის
გულ გამგმირავი კენესა სატრფოს მაძებარი გულისა...

თუ ძალ-გიძს შენ ხამთრის ბნელი ლამეები გარდაჰქმნა გაზაფხულის
გაკაშკაშებულ ლამეთ, რომ მოციმციმე ვარსკვლავებმა მოგიოხროს
დაუსრულებელი მომხიბლავი ზღაპარი სასწაულებისა...

თუ გიყვარს შენ, აშლილ საათივით გულის ძგერის ყურის ვდება, რომელიც
საარაკო ანდამანტით მოხვეულს დამორებულ სატრფოს სუნ-
თქვის და აშლილ სხეულის ძარღვებს მოჭანცულად მოაგონებს თვის
სევდიან წანას—მაშინ უგდე ყური მხოლოდ მათ—და ისინი მოგიო-
ხრობენ ჩემს ამბავს; და გაიგებ რად მიღირს შე ეს უდიდესი
მსხვერპლი...

მე ურიგდები შენს გაშორებას, მხოლოდ ჩემი სოსანის გალობის ყუ-
რის ვდებით. როდესაც ჩემი სევდით ცაც დაიღლება და გადაეფა-
რება კნუნვის ბურუსი, მე უკანასკნელ ძალას ვიკრებ მშვენიერ სო-
სანთან ყოლის საგდებლად...

ის მიმღერის სანეტარო საგალობელს, უხილავ ფრთებზე დამისვავს
და მივფრენ შორს, ყვავილთა სამეფოში სალაღაოდ, საცელქაოდ,
და ეს სოსანი, მხოლოდ შენი აჩრდილია ჩემო სულის მიზანო, რომელიც
მე მუდამ თავს დამტრიალებს...

და ვიცხოვრებ დიად მოგონებათა განცდით...

ეს განცდა არის სახშილი ჩემი სულისა, რომელიც წმინდა კანდლად
იციმციმებს, ჩემს წყვდიადით მოცულ ცხოვრების გზაზე...

და პაემანზე გამოველი უგონოდ მთვრალი,
 სალამო შვიდი... და სახლაპრო, ვით ცისარტყელა...
 გიციდი და დროზედ, თუ არ მოხველ, ვაპ შენი ბრალი...
 საათმა შვიდი... ჩემი გულიც აამეტყველა.
 არა ვყოფილვარ გერ ფხიხელი, როგორც კი მაშინ...
 ფეთიანივით დავეძებდი შენ ფერა ქალებს,
 თვალი ვერ მოგვარ და ის იყო ცრემლთა წვიმაში
 ლაზარესავით ვაბანებდი დაქანცულ თვალებს,
 რომ ხელჩართული უცხო ვაეთან იავდებოდი,
 და მე კი ვთრთოდი, ვით ხრიოკზე თრიშლის ფოთოლი,
 იქვი ქართული აილეწა... გონს მოვდიოდი:
 იღებებოდა შენი სისხლით სპეტაკი თოვლი...

ამ სად მოხველ?!?

ლ. ძიმიჯური

აქ სად მოხველ ამ ქალაქში, აქ რას ეძებ შენ, ჰე ქალო,
 რათ, რათ დაძრწი ბნელ ქუჩებში, ვის რათ უხმობ ვნებით
 მთვრალიო?..

ნუ თუ ყველას ერთნაირად შეჰხარის და შესტრფის გული,
 ნუ თუ ყველა შეიყვარე და ამღერე მათთან სული?..

მაშ რად იყო წუხელ, ღამით უხმოდ ეგდე ქუჩის ნაპირს,
 თავს გეხვივნენ ვილაცები და გახევდნენ გულის საპირს?..

მაშ რად იყო გადათელილს დაგკარგოდა აზრი, გრძნობა,
 ქუჩის შტეერში ამოგარგნილს აღარ გქონდა არვის ცნობა?..

მიტხარ ქალო, თუ პირველად აქ საიდან დაიბადე,
 ან პირველად ვინ შეგვებო, ვინ ჩამოგხსნა ეგ პირბადე?..

პირველად ვინ მოგატყუა, ვინ გაცდინა გველურ ენით,
 ვინ წაგართვა სიქალწულე, ვინ იგება სიტკბო შენით?..

აქ სად მოხველ, ამ ქალაქში, აქ რას ეძებ შენ, ჰე, ქალო,
 რად, რად დაძრწი ბნელ ქუჩებში, ვის რად უხმობ ვნებით
 მთვრალიო?..

მოწყენილი, თავ-ჩაღუნული შესცქერი... ძაძა ფლასში გაბვეულბარ...
 სული სტირის და მოსთქვამს... შწუბარებით მოცულა შენი ბუნება...
 სახე დაგპრანჭვია... ტუჩები მოგიკუმავს...
 თრთი და ჰკანკალებ, თითქო გციოდეს...
 ჰლეღაე და ჰშფოთავ...
 ცრემლები თვალებს გიბურავს...
 ცრემლით რწყავ, ოდესღაც შენთვის მფეთქავ გულს...
 ის უძრავი, შემოდგომის ნაგვიანებ ფოთოლიყით ყვითელი, სანთელი-
 ვით ჩამომდნარი, თვალებ დახუჭული გისმენს...
 გულდასმით გისმენს, მაგრამ არ ესმის...
 არსებობს იქ, სადაც არ სუფევს არც ტანჯვა, არც სევდა, არც ცრემ-
 ლი არც გაჭირვება...
 და ამით შენი სევდა მწვავე და უნუგეშოა...

იყო დრო... გაზაფხულის სურნელოვან საღამოს ჰაერი გიხუტებდათ
 გულში...
 სიო თავს გველებოდათ...
 მოკამკამებული ცა იქარგებოდა ნელ-ნელა თქვენი შემხედვარე...
 მოჩხრიალე ნაკადი და ბუღბუღლის სტვენა ნანას უმღერდნენ თქვენს
 ტრფობას...
 საამური სიგრილე უაღერსებდა თქვენ აგზნებულ სხეულს...
 რაყა შრიბლით სიყვარულის უცნაურ ზღაპარს ჰსთხზავდა...
 ირგვლივ სისალისე...
 ირგვლივ იმედი...
 თქვენც იმედით შეყურებდით ყოველივეს...
 მომავალი გრწამდათ... კიდევაც ოცნებობდით...
 მხიარული, სიცოცხლით სავსენი სიყვარულის ნეტარ წუთებს განიც-
 დიდით...
 მაგრამ... ეხ!..
 რაღა მაგრამ!..
 მომავალი გაწყდა...
 ოცნება დაითალბა...
 და ტრფობაც ძაძა-ფლასში გაეხვია სამუდამოდ...

ბუღუარში

აქილესი

ერთხელ შემოველ შეუმჩნევლად შენს ბუღუარში,
ღია იჯექი და ათრობდი თრობით კლავიშებს,
ძირს ეგდო შალი უსიკოცბლო და უარშიო,
და შაშბის ბალი გიყვოდა ნდობით მკლავის ქვეშ...

გასთხოვდი ურცხვად და ისევე იმ ბუღუარში,
პში დაფარული და ყვედრებით ათრობ კლავიშებს,
მხოლოდ შენ გვერდით გიდგას ქმარი და ურცხვად კარში
აპრილის წვიმა სახურავებს აკვნეს-ავიშებს...

ძვლის ფლავიტა

Chale Romie

საფლავზე, ჯვრებ შუა გავირბენ მთრთოლარე
გავირბენ მთრთოლარე დათაღბულ ფიქრებით,
დამდაგავს სანთელი კვამლებში მწოლარე
ის წამში... მე საათს... მივქრებით... მივქრებით...

ვიპოვნი ოქროს ჯვარს, ჩავქედავ თეთრ კანდელს,
აუნ... ებ პატრუქებს გიყური ჩაკოცნით;
გავიგებ შავ ზღაპარს, ნააშბობს წუხანდელს
და ფიქრებს მოვწამლავ გამხდარი ამოცნით.

გულს დასჯრის შავ ჯვრების სიჩუმის კონცერტი,
იტირებს ბუ-ქოტი, საღამოს მტირალი;
დასერავს თვის სახეს ეშმაკი ცერცეტი,
როს ერთხილად ჩაივლის აჩრდილი ფირალის.

დაკრუნჩხულ ხელებით, ჩონჩხების სუფრაზე,
მოვძებნი თეთრ ასოს მიღეულ თვალებით,
ვიპოვნი დამანქულს... შევსწყვიტავ ამ ფრაზებს,
ჩონჩხებში ჩავირბენ, იქ დავიმალები.

ჩამოვთლი ყვითელ ძვალს ჰომეროს ყვირილით
დაისის ბურუსით უფერულს დავფერავ,
ფლეიტას ვატირებ ნილოსის ტირილით,
სიჩუმის კონცერტებს ფლეიტით დავფარავ.

თეთრ ღღუზი

შალვა მეფთანდუღუ

შკმუნვარე სახით, დაღვრემილი, ტან-ფეხ-შიშველი,
დავექანები მთაწმინდიდან ნელის ქანებით,
ასულს შეეხვდები თეთრ დილისას — ხელთათმანებით,
გიჟურ ზმანებით მიღეული, — მე რას მიშველის?!?

რუსთველის ბუღეარს გამოვზომავ დაშხამულ ძვლებით, —
ვილაც სულიერს გადუკურია თეთრი სუდარა,
არავის ესმის ჩემი ხვეწნა, ჩემი მუდარა,
დამთურალ დარბაზებს გამოვსჭვრეტავ თვალ-გადავლებით.

ყინვით მოქანცულს მომენატვრის კაფე ლანდური,
ალარ მწყალობენ ძველებურად ჩემი ფანდები,
ძველსა შეგობრებს ვეჩვენები გიჟ მოლანდებათ,
ავდრიან ღღუებს ვერ ვგუის ჩემი ფანდური...

სიხვარულის მსხვერკლი

შალვა კლპართუელი

(ნაწყვეტი რომანიდან)

... და ესწყველი იმ ღღუს, იმ საათს, იმ წუთს, როცა ვიხილე და
გაგიცანი...

— მოუთმენლად გიკდი, სალამოს მოდი ჩემთან, ჩემს ოთახში. დავ-
სხდეთ ფანჯარასთან და უსმინოთ როგორ აკენესებს ცელქი სიო ვნე-
ბის სალამურს. — მითხარი შენ განშორებისას.

რა მშვენიერი, რა თვალწარმტაცი იყავი მაშინ...

გულის სიღრმის დაპატიუებამ თავბრუ დამასხა, დამწვა, დამათროო...
არ ვიცი როგორ გაგშორდი, არ მახსოვს სად წავედი. მახსოვს მხო-
ლოდ, რომ იმ სალამოს შენ გულზე ვპოვე სიმშვიდე...

შენმა გიჟურმა კოცნამ, ვნებიანმა ალერსმა გონს მომიყვანა...

მაშინ ვიგრძენ სიყვარულის აღმური.

შემიყვარდი თავდავიწყებით, გიჟური სიყვარულით...

იმ დღიდან ხშირი სტუმარი ვიყავი შენი. ასე მიდიოდნენ სიკაბუკის
ღღუები...

მაგრამ...

ხანმოკლე გამოდგა. თავდავიწყება მოგბეზრდა ერთი და იგივე, ერთ-
ნაირობა და...

მწვანე ლამეში გამეტქც, სხვას მოეხვიე...

სევდა-ვარაშმა გული ჩემი ასად დასერა. მივეცი თავი გარყვნილებას,
ლოთობას, ქეიფს...

და ღღუს სავანე ჩემი არის ღვინის სარდაფი, ღვინო მაეიწყებს წარ-
სულს, მომაველს. ღვინის მორევში შენც გივიწყებ ჩემო ჯალათო!

სიყვარული

I

ის ახალგაზრდა იყო, სიცოცხლით სავსე, ყველას უყვარდა, მასაც არავინ სძულდა...

ყველაფერს შესტრფოდა... ცხოვრება, ეს შშვენიერ წალკოტად იყო მის სულში გადაშლილი...

და მასში გაშლილ ვარდებს ყნოსავდა, მის მაცოცხლებელ წყაროს ეწაფებოდა... ტკბილ გალობას უსმენდა...

ზეიმობდა მისი სული არ ნახულ სევდით... თრთოდა მისი გული არ ნახულ ტანჯვით.

— რა თმა ხუჭუჭა, რა ლამაზია!!!

იტყოდნენ ლამაზი ასულნი და მრავალი მკვირცხლი და მგზნებარე თვალეში მისჩერებოდნენ მას...

ის კი სდუმდა, ხმას არ იღებდა.

ისმენდა მისდამი ქებათა ქებას, და ვით ნელი სიოსგან შერხეული ჯეჯილი თავს ხრიდა, კრთოდა... სიწითლე ეპკურებოდა...

საერთო ასულთა შემაღგენლობიდან გამოვიდა ერთი—ბტომით, ცქრიალით, მივიდა მასთან...

— რისთვის ხმას არ იღებ?... აბა, შემომხედე რა ლამაზი ვარ, სიცოცხლე ტრფობად გარდაშლილა ჩემში...

მან შეხედა ასულს, გული შეტორტმანდა. ახალმა გრძნობამ სულში გაიციალა და მისი შუკი, ქალის სახეს ელვად გადაეკრა.

მაგრამ ვაჟმა უკან დაიხია.

— წადი ღვთის გულისთვის!.. შეშინიან შენი.

ასულს გაეღიმა... მის ბაგეებიდან თითქოს მზის პირველ სხივმა ამოწვერა. და ვით ნაკადის ლიკლიკი ნაზად უთხრა ვაჟს:

— არა, არ მოგშორდები... მე შენ მიყვარხარ.

ვაჟი ვით ლერწამი გადიხარა... და ოთხი ბაგეთა ხაზები კოცნის სიმფონიით ამუსიკდენ.

ის ტიროდა. მოზღვავებული გრძნობა ცრემლებათ გადმოსკდა.

თვალთა წამწამები ისრებად დანაწილდნენ.

ასულის დაწვრილებული თვალთა კაკლები იღუმალად მიმამულნი თითქოს იღიმებოდნენ და მისჩერებოდნენ ამხანაგ ქალებს.

ისმოდა შორიდან კისკისი.

— დაიმორჩილა...

II

ეამი რბოდა... ის კიდევ ახალგაზრდა იყო. მაგრამ მისი თვალები მუ-
 დამ ცრემლებში სცურავდნენ.
 სული მისი ქვითინებდა.
 ობლად—ეულად დადიოდა.
 თავის თავს ესაუბრებოდა.
 სხვა არ სურდა—გაუბრებოდა.
 — გვითხარ რა დაგმართვია?
 ეუბნებოდნენ მეგობრები.
 ის სდუმდა... მისი სიხუმე იდუმალი პასუხი იყო ობოლ სულისა.
 ყველა სწუხს... სიცოცხლე იცრიცება; გაუშლელი ყვავილი ქცნება.
 ის მაინც არას ლაპარაკობს.
 სდუმს და ეს დუმილი იყო მისი სევდის დაუწერელი მატრიანე.

III

მზე იკინოდა... დედამიწა ჰყვავდა...
 ის კუბოში იყო. მიასვენებდნენ.
 ხალხი მწუხრის სახეებად მიჰყვებოდა მიცვალებულს.
 — ახალგაზრდა ჯანლონით საესე. რამ მოუსწრაფა სიცოცხლე?
 კითხულობდნენ შორეული ნაცნობნი.
 — უბმოდ იტანჯებოდა და მან შეიწირა.
 აღნიშნავდნენ უახლოესნი.
 ამ დროს მოშორებით ქანდრის ქვეშ იდგა ქალი.
 მას ვერვინ ამჩნევდა.
 ხელში ქალაღდის ნაფლეთი ეჭირა.
 ცრემლებით ნამავდა. ზედ ეწერა:
 — „შენ მაგრძნობინე სიყვარული და შენვე დაასათლავე იგი. საფ-
 ლავშიაც შეყვარებული ჩავდივარ. არ ვნანობ სიცოცხლეს. სიკვდილ-
 ში ვპოვე შვება.“
 მრავალჯერ გადაიკითხა ქალმა ეს წერილი. აქვითინდა. გაშეშდა.
 ზარი დაირეკა. სევდიანი გალობა მას შეუერთდა.
 იმას ცივს საფლავს აბარებდნენ.
 და ქალი მოწყვეტით გაექანა საფლავისაკენ.
 მას მიწას აყრიდნენ. ასათლავებდნენ. გაქვავდა. და ვით ქანდაკი მია-
 ჩემდა. მაშინ როცა კუბოზე მიწის ნაკრები დაეცემოდა, ტოკავდა.
 ხალხს უკვირს. სურათს მისჩერებიან.
 — რა დამართვია, ხომ არ შეშლილა?
 — ალბად...
 და პროცესია იშლებოდა.

ხელოვანი

იყო მწუხრი, და აი მოისურვილა შეექმნა ხატება სიხარულისა, რომელიც წუთის მყოფელია და ვიდოდა მსოფლიოდ, რათა ეხილა ბრინჯაო, ვინაიდგან მხოლოდ ბრინჯაო სწამდა ხელოვნებისათვის.

გარნა მთელს დედამიწის ზურგზე უჩინარქმნილიყო ბრინჯაო, და მთელს მსოფლიოში არ იყო ჩამოსხმული ბრინჯაო, გარდა ბრინჯაოსი, რომელსაც საუკუნეთა მყოფი სევდის წახნაგი შეიცავდა.

თვითონ შექმნა იგი და თავისივე ხელით დასდგა ძეგლად იმის საფლავზე, რომელიც უყვარდა, იმის სამარეს, რომელიც ყველაზე უფრო უყვარდა, თავს დაადგა ეს წახნაგი, საკუთარი ხელოვნებისა, რათა კოფილიყო სიმბოლოდ სიყვარულისა, რომელიც უკვდავია, და ქნილიყო სიმბოლოდ სევდისა, რომელიც ჰხანგრძლივობს უკუნისამდე. და აი, მთელს მსოფლიოში არ იყო სხვა ბრინჯაო, გარდა ბრინჯაოსი, რომელსაც ეს წახნაგი შეიცავდა.

და აღიღო თავისივე შექმნილი წახნაგი, და შთააგდო დიდს ქუჩაში, და ცეცხლის აღს მისცა იგი.

და აი, ბრინჯაოსაგან, რომელსაც შეიცავდა წახნაგი საუკუნეთა მყოფელი სევდისა, მან შექმნა წახნაგი სიხარულისა, რომელიც წუთის მყოფელია.

თაყვანის მცემელი

როცა მიიცეალა ნარგიზი, მისი ლხენის დაფრქვეული ნაკადული, გარდაიქმნა ტკბილი წყალის თასიდგან, თასად მლაშე ცრემლთა, და გლოვით მოვიდნენ ტყიდგან ორეადები, რათა ემღერნათ ნაკადულის გარშემო, და მით ნუგეში ეცათ. და ოდეს იხილეს ნაკადი გარდაქმნილი ტკბილი წყალის თასიდგან თასად მლაშე ცრემლთა, დაიწეწეს მწვანე ლულამბარი და მოსთქვამდენ ნაკადულის პირად და იტყოდნენ.

— ჩვენ არ გვაოცებს შენი ურვა ნარგიზის გამო, — ისეთი მშვენიერი იყო იგი.

— განა ნარგიზი მშვენიერი იყო? — იკითხა ნაკადმა.

— ვინ უნდა უწუოდეს ეს უკეთესად, ვიდრე შენ უწუი? — პასუხად იტყოდნენ ორეადები. — იგი ჩვენს მახლობლად ჩაივლიდა შენთან

მოსწრაფე, და განისვენებდა შენს ნაპირებზე, და გიმზერდა დიდხანს, და სარკვეში შენთა წყალთა ჰხედავდა ანარეკლს საკუთარი სილამაზისას.

და ნაკადმა პასუხი აგო:

— ნარგიზი მიყვარდა იმიტომ, რომ განისვენებდა ჩემს ნაპირებზე, და მიმზერდა დიდხანს, და სარკვე მისთა თვალთა ყოველთვის ანარეკლი იყო ჩემი სილამაზისაო.

მოდღვარი

ბინდმა რომ დაჰფარა დედამიწა, იოსებ არიმათელი, ფიქვის ანთებული კერეონით ხელში, მთიდგან ბარად დაეშვა.

იგი სახლში ჰბრუნდებოდა.

და სასოწარკვეთილების ველად იხილა მაგარ ქვებზე მუხლით მოდრეკილი ჭაბუკი, ტანშიშველი და ცრემლის მფრქვეველი. თაფლის მსგავსი იყო ფერი იმის თმათა, და სხეული მისი მსგავსი იყო თეთრი ყვავილისა, მაგრამ დაესერა იგი ეკლით, და გვირგვინის ნაცვლად ფერფლით დაეფარა თავი, და მან, ვისაც დიდი მამული ჰქონდა, ჰკითხა ჭაბუკს, რომელიც ტანშიშველი იყო და ცრემლის მფრქვეველი.

— მე არ მაოცებს ეგზომ დიდი შენი ურვა, ვინაიდგან, ქეშმარიტად, იგი მოწაჲ იყო.

და ჭაბუკმა პასუხად სთქვა:

— არა სხვისათვის ვაცრემლებ თვალს, არამედ მხოლოდ ჩემთვის. მეც გარდაეჭმენი წყალი ღვინოდ, და მეც განვჭკურნე გვემულნი, და მეც დაუბრუნე მზის ხილვა უსინათლოს, მე ვიდოდი წყალთა ზედაპირზე, და მღვიმეში მაცხოვრებელთაგან განვდევნიდი ბოროტ სულს, მეც განვაძლებდი მშიერთ უდაბნოში, სადაც არ არის საკვები, და მეც აღვადგენდი მიცვალებულთ მათს ბნელს სავანეში, და ჩემის ბრძანებით, მრავალი ათასი ადამიანის თვალთა წინაშე, განჰხმა უნაყოფო ლელვი, ყველაფერი, რაც მოიქმედა იმ კაცმა, მოვიქმედე მეც და მაინც გვარს არ მაცვეს.

შესავალი

მსოფლიოს უზარმაზარ ყოფნის ლაბირინტში აზროვნების ახალი გადაჯგუფება ხდება.

ძველი სახე საზოგადოებრივი ურთიერთობისა ირლევვა, მის მაგიერ იწვევებიან ახალი ძალთა-განწყობილების ცხოველ-მყოფელი მზის სხივები.

კაცობრიობამ განვლო ის ხანა, როცა განსაზღვრული ერის ან სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახალი მიმდინარეობა, ინსტიქტიურ სრბოლით და ხანგრძლივ ევოლიუციით ხდებოდა.

კომუნა, აზიური ხანა მონობა, ბარბაროსობა, ფეოდალიზმი ფართო საფეხურებით არიან დალაგებული ისტორიის ფურცლებზე.

და ამავე ეტაპებში წარმოშობილი აზროვნების ფიგურალები თავისი ევოლიუციონურ პროცესში მრავალ-ფეროვანია.

დღეს კი მთელი მსოფლიო ერთს ჯადოსნურ რკალში მოემწყვდა და ამ რკალის გულიდან გამონაცონი ენერგია ამოძრავებს ყოველ სუბიექტს და ობიექტს.

და ეს საშინელი რკალი ჯერ კიდევ გაურღვეველია. ამ საშინელებას ეწოდება — კაპიტალიზმი.

ამ უკანასკნელი სიტყვის რეალურ დინამიკაში იხლართებიან ადამიანთა ბედის-წერანი, მასში იხარშება და უალიბდება ყოველგვარი მოქმედებანი და აზროვნების ფორმები.

თუ კიდევ მსოფლიოს რომელიმე უჯრედებში დარჩენილა გარდასულ ფორმათა უკანასკნელი ნაშთები, ესენი აღნიშნულ ვეშაპს — კაპიტალიზმს ვერ გაუწევენ საბოლოო კიდილს. ყოველი ეამიერი სუნთქვა ამ გიგანტისა გულზე ილესავს მრავალ ანარეკლებს და თავის არსებობის განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში გეგემონიის ძალას იკრებს.

კაპიტალიზმის გულის სიღრმე დაუდგრომელი და მომენტალურია. ის მატარებელია როგორც რეაქციონიზმის ისე რევოლუციონიზმის.

და მის სულის შემხუთველ მოწამლულ ატმოსფერაში იბადებიან ახალ ძალთა კორდინაციები.

ინაცვთებიან ლივლივა სხივები, როგორც სოციალურ მოძრაობათა ისე ლიტერატურულ შემოქმედებათა.

სოციალური სული ბასრ პოლიტიკად ქცეული აქტიურად მოძრაობს და ევოლიუციის და რევოლუციის ამაყ დროშას „დიდების ჰიმნით“ მიაფრიალებს.

და ლიტერატურული შემოქმედება ამ დროს თავისი ოქროს ჩანგით ვარდ-ყვავილებით შორთული. სათუთ ჰარმონიას ჰქმნის და აღვიძებს მიძინებულ სულს განთიადის შესაგებებლად.

და ასე, ორი სინთეტიური დაძმობილებით გენერალური შეტაკება მზადდება შავი აჩრდილების საწინააღმდეგოდ.

ღიაღია ეს პროცესი და დღეს ჩვენ. ცოცხალი თაობა, ამ უდიდეს და-საწყისის რუბიკონზე ვდგევართ და თუ სოციალობის ხორც-სხმულობას ვერ მოვესწრებით. უატყუარ პერსპექტივებით მაინც წავეალთ.

და ეს ბრძოლის პროცესი თავისი შინაგანი მძაფრი დუდილით ქოტიურიცაა და ნათელი დეტალების შატარებელიც.

ამ დროს არ არის გასაკვირველი თუ ჩვენს ახლად დაბადებულ რესპუბლიკის ინტელექტუალურ სარბიელზე არეც დარეცა იყოს.

არ არის გასაკვირველი თუ მოაზროვნეთა გონების საღარო საცდელ ბაზათ გადაქცეულა.

ჩვენი ერის წარსულ არსებობის დღენი მოწამე არის იმისი, რომ შემოქმედების მძივები მუდმივათ და განუწყვეტლივ ინცმებოდენ და საერთოდ ამ მძივთა სერიაში ბევრჯელ გაბზარულიც მოხვედრია. მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო. უარყოფილობა თან დაჰყვება ბუნებრივი აუცილებლობით ყოველგვარ მოძრაობას.

და დღესაც ჩვენი ერის სოციალური ბაზის და შემოქმედების სულის ვარიანტის დროს ლოდიკური სვლით გრძელდება აღნიშნულ მძივთა წყობა.

როგორც რევოლიუციამდე ისე რევოლიუციის შემდეგ, ერის მოაზროვნე ელემენტები აბჯარასხმულნი გამოდიან შემოქმედების ასპარეზზე და ჩვენ თვალწინ ლაგდებიან მრავალი გამოცემანი როგორც ეურნალების სახით ისე დამოუკიდებელ ავტორებისა.

და ტალანტების ქიდილი ჩვენ თვალწინ მიმდინარეობენ.

ეს მოვლენა საერთოდ აღებული არის ერის ცხოვრებაში გაკულტურების უტყუარი ნიშნები.

მაგრამ საერთო მოძრაობის დადებითი სახით აღნიშვნა კიდევ არ ნიშნავს ამ მოვლენის ყოველი დეტალის მოწონებას.

და ამ უკანასკნელი შეხედულებიდან უნდა წარმოიშვას მიუდგომელი კრიტიკა.

საერთოდ აქსიომად უნდა მივიღოთ ის, რომ როცა ლიტერატურული შემოქმედება იწყებს გაშლას და აყვავებას ამ დროს პარალელურად მას უნდა მიჰყვებოდეს სალი კრიტიკა, რომ გზა და გზა იცხრილებოდეს ყველა გამოსვლები.

მხოლოდ კრიტიკა ისეთი, რომელიც თავისუფალი იქნება, ყოველ ავტორიტეტისგან და ფეტიშისგან.

ჩვენი ერის ლიტერატურაში თანდათანობით იწვევებიან, ევროპაში წარმოშობილი და ჩამოყალიბებული იდეების სახეები. და თუ ამ იდეიათა ხორცხმულობა თვალსაჩინო არ არის ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლობა არ განვითარდეს.

ამა დაუკვირდით იდეიათა სილუეტებს: რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი და სხვა.

და ყველა ესენი გარკვეული ყალიბით არ სრულ ქმნილან. ზოგი შეიძლება საშიშივე დარჩეს ზოგიც დაასაკდება, ჩამოიქნება.

ამ მიმდინარეობათა სახეობა დღეს მინიატიურულია. მაგრამ გაფართოვდება.

და გამსა მისი გაფართოებისა კანდლათ გადაიქცევა, რომელიც ერის სულს საკაცობრიო საღაროში სრულ უფლებებიან წევრად შეიყვანს.

და უნდა უფროხილდებოდეთ, რომ ამ დროს ფრანგი მწერლის იპოლიტენის ერთ ერთ თქმულების მსხვერპლი არ გავხდეთ. ის ამბობს: „ისე სახიფათო არა არის რა, როგორც დიდი აზრი პატარა ტვინის პატრონ ადამიანის გოგრაშით“.

და მომავალ ნომრიდან გესურს ერთგვარი ექსკურსია მოვახდინოთ ახალ მოახროვნეთა შემოქმედებაში და განსაზღვრულ მეთოდის დახმარებით მიუდგომელი ანალიზი გაუკეთოთ ახალ ლიტერატურულ გამოცემათ.

და თუ მართლა „დიდი აზრი სახიფათო სახით მოთავსებულა ვისმეს გოგრაში“ ამ დროს ვეცდებით ასეთები შევაფასოდ, და ამ შესაფერების საბოლოო გამტკიცება ხომ, მკითხველ საზოგადოებაზე არის დამოკიდებული.

3 196
1920



ԱՍՈՑԻԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ